სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ ელენე საღინაძემ საკრებულოს წევრებს აცნობა, რომ სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიაში 2025 წლის 07 ნოემბერს შემოვიდა საკრებულოს წევრის მალხაზ მურცხვალაძის №19/8125311001-81 განცხადება უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ. კომისიამ საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვთმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ბ.გ“ ქვეპუნქტის, 43-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად ცნობად მიიღო მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მალხაზ მურცხვალაძისათვის უფლებამოსილების შეუწყვეტა პირადი განცხადების საფუძველზე.

კანონმდებლობა მოითხოვს გამოკლებული წევრის ადგილმონაცვლედ საკრებულოში წევრად შემოვიდეს ამავე პარტიული სიით წარდგენილი რიგით მომდევნო საკრებულოს წევრობის კანდიდატი. აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია მოწოდებული იქნა №45 ცაგერის საოლქო საარჩევნო კომისიას.

№45 ცაგერის საოლქო საარჩევნო კომისიისგან შემოვიდა წერილი (№45/55 11.11.2025წ.), აღნიშნული წერილის მიხედვით საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 12/2025 განკარგულებით ცაგერის მუნიციპალიტეტის 2025 წლის მოწვევის საკრებულოს გამოკლებული წევრის ადგილმონაცვლედ, რიგით მომდევნო კანდიდატად წარმოდგენილია გოდერძი ახვლედიანი.

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამისად ცნობად მიიღო: ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მალხაზ მურცხვალაძის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ ინფორმაცია და საკრებულოს გამოკლებული წევრის ადგილმონაცვლედ გოდერძი ახვლედიანის უფლებამოსილების ცნობა.